


# ახალი თაობა



akhali.taoba.ge

„ნათია გობალაძე ირაკლი ლეკაშვილთან და მტკვარზე ჩაიყვანა და ეს წყალი აატივტივებს შენს გვამსო, უთხრა“




გვ. 5

8 ოქტომბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

თამარს უამბო დაღამა

წიგნი II ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ორშაბათი, 14 ოქტომბერი, 2019

№243 (8197)

ფასი: 60 თეთრი

## „ყურებით გამოვიყვანეთ სალომე ზურაბიშვილსა და მის ფაქტორიზ ანგის პრეზიდენტის რეზიდენსიდან“



სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილმა საარჩევნო პროცესი ირაკლი კობახიძის გუნდს ჩააბარა და დაავალა, რომ 2020-ში 50%-ზე მეტი აიღოს“



გვ. 2

### თაკო ჩარკვიანი: „ბოკერიას ყოველთვის ეჭვით ვუყურებდი და მასში სულ ვხედავდი გამხლარ კალას“



„ხელისუფლებაში რუსულ წუმბეს ნიაღვარი ჩარეცხავს“ გვ. 2



### ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი იმ გზას გადის, რომელიც სააკაშვილმა და მერაბიშვილმა გაიარეს“

გვ. 4



### მანანა ნაჭყებია: „2020 წელს არაკოლიტიკოს კაცს ამხელა ძალაუფლება აღარ ექნება“


გვ. 3

საერთაშორისო

გვ. 5

### „მივაგჯინა სადარბაზოს კედელზე და დავიწყე მოფარება“

23 წლის ბიჭი მოქალაქეებზე ძალადობდა



### „ლევან ძნელაძემ დაჭრა გივი სინსაძე“

გვ. 5



ყიფშიძეზე გარჩევის ახალი დეტალები



### სულის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო ინსპექტორს შეხვდა

გვ. 4



2 კინორეჟისორი მიხეილ კობახიძე გარდაიცვალა

6 ელდის მართლმადიდებელმა ეკლესიამ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა

2 ა.თ.-მ მოქალაქეს 1.100 ლარი ნაართვა და კაზინოში გაიქცა

6 სარატოვში სისხლიანი მანიაკი დააკავეს



# თაკო ჩარკვიანი: „ბოკარიას ყოველთვის ეჭვით ვუყურებდი და მასში სულ ვხედავდი გამხლარ კალას“

იაგო ნაცვლიშვილი



რა ფორმატით მიიღებენ გავრ-  
თიანებული ოპოზიციის „ძალა ერთო-  
ბაში“ სუბიექტები არჩევნებში მონა-  
წილეობას – ცალ-ცალკე თუ ნებისმი-  
ერ შემთხვევაში ერთიანი ფრონტი?  
რატომ მიიჩნევა, რომ „ევროპული სა-  
ქართველო“ ივანიშვილის წისქვილზე  
ასხამს წყალს და რამდენად მზად არის  
მათთან პარტიზორული ურთიერთო-  
ბისთვის? რა პასუხი აქვს სოციალურ  
ქსელში გაუფლერებულ ბრალდებაზე,  
რომ ოპოზიციის გაყოფის როლს თა-  
მაშობს, რომ მას ამისთვის ივანიშვი-  
ლმა შეუქმნა პარტია და რატომ ფიქ-  
რობს, რომ 2016 წლიდან მოყოლებუ-  
ლი, ამ როლს მუდმივად გიგა ბოკერია  
ასრულებს? – ამ და სხვა საკითხებზე  
„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „კა-  
ნონისა და სამართლის“ დამფუძნებ-  
ელი, გავრთიანებული ოპოზიციის ერთ-  
ერთი ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბ-  
რობს.

– სავარაუდოდ, საკონსტიტუ-  
ციო ცვლილებები გატარდება იმ მხრი-  
ვით, რომ აიკრძალება კოალიციური ფორ-  
მატით არჩევნებში მონაწილეობა. ცალ-  
ცალკე გამოვალთ გავრთიანებულ  
ოპოზიციას შიშველი სუბიექტები არ-  
ჩევნებზე?  
– არის რამდენიმე ვარიანტი.  
ერთი ვარიანტი ის, რომ ერთი პარტი-  
ის სახელწოდების ქვეშ გაერთიანდეს

## „ხელისუფლებაში რუსულ ნუმებს ნიაღვარი ჩარეცხავს“

ტი და მე ამაზე აქამდეც არაერთხელ  
მაქვს ნათქვამი, მათ შორის თქვენთან  
ინტერვიუშიც. ბლოკების აკრძალვა მან  
ამისთვის მოიგონა, მაგრამ არსებობს  
გამოსავალი.

– ყველა შემთხვევაში ერთიანი  
ფრონტით გამოსვლას განიხილავთ და  
არა ცალ-ცალკე?  
– დიას, მხოლოდ ერთიანი  
ფრონტს განვიხილავთ. სულ არის სა-  
უბარი იმაზე, რომ თაკო ჩარკვიანმა  
თქვა, „ევროპულ საქართველოსთან“ არ  
ვიურთიერთებო. მე ამაზე თქვენთან  
ინტერვიუშიც გავაკეთე განცხადება  
და ამ აზრზე ვრჩები ახლაც, მაგრამ,  
როდესაც „ევროპული საქართველო“  
გვეუბნება, ვიპარტიზორდით, ამაზე  
პრობლემა არ არსებობს.

ვის, ვის და მე ასეთი რაღაცა  
არავინ უნდა მიხრას, ეს ნაბიჯი უკვე  
გადავცი. 9 წელი ოპოზიციას ვიყა-  
ვი და ვიპარტიზორე ისეთ პარტიას-  
თან, რომლის წინააღმდეგაც ვიბრძო-  
დი 9 წლის განმავლობაში, ანუ ჩემ-  
თვის უპირველესი აღმოჩნდა საქარ-  
თველოს ინტერესები და დასავლური  
პოზიციების გაძლიერების გამო ვი-  
პარტიზორე. ასე რომ, „ევროპული სა-  
ქართველოსთან“ ამ შენიშვნას ვერ მი-  
ვიღებ.

მე კი მივცემდი შენიშვნას. შენ  
რომ მთავარ პარტიზორობას, უნდა  
დაგინახო, როგორც პარტიზორი. უნ-  
და დამენახო, როგორც პარტიზორი,  
თორემ რაზეა საუბარი? ჩემთვის რუ-  
სული ვექტორი წყალგამყოფია. შენ  
უნდა დაგინახო პარტიზორად და არ  
უნდა იყო იმ ძალის წისქვილზე წყლის  
დამსხმელი, რომელსაც მე და ნახევარი  
საქართველო ბრალს ვდებთ, რომ რუ-  
სეთთან კავშირშია. ეს გახლავთ ბიძინა  
ივანიშვილი. შენ ივანიშვილთან გაქვს  
საომარი თუ გაერთიანებულ ოპოზი-  
ციასთან?  
– პირდაპირ ვთქვათ, წყალგამ-  
ყოფი თუ არა ბზარის შემტანი მაინც  
იყო მიხილ სააკაშვილის განცხადე-  
ბაც ამ პარტიზორობაზე, როდესაც მან  
გიგა ბოკერია დააბნაშაულა ეროვ-  
ნული ინტერესების წინააღმდეგ მოქ-  
მედებებში. ასე არ ფიქრობთ?  
– იცით, რა? მე შენ მოგიყვან  
მოწმედ. მისას განცხადებამდე რამდენ-  
ი ხნით ადრე ჩანერეთ ჩემთან ინტერ-  
ვიუ და რამდენი ხნით ადრე მაქვს  
ატეხილი ეს ამბავი. ყოველთვის ვცდი-  
ლობ, ლოგიკით მივყავ მათ განცხადე-  
ბებს. ბოლოდროინდელი განცხადებაა  
შავარზაშვილები. ამბობენ, რომ ნაციო-  
ნალური მოძრაობა შავარზაშვილი ძალა  
გახდა. წაიკითხეთ რა.  
– თქვენ დაეთანხმეთ სააკაშვი-  
ლის პათოსს, რაც მან ბოკერიაზე თქვა?  
– მას კი არ დავეთანხმე, ეგ ვთქვი  
მრავალი თვით ადრე. ერთი ხელით  
პარტიზორობაზე საუბრობენ, მეორე

ხელით კი შავარზაშვილ ძალას უწოდებ-  
ენ ნაციონალურ მოძრაობას. კი მაგ-  
რამ, შავარზაშვილი ძალა ახლა გახდა?  
ბოკერია ხელისუფლებაში როცა იყო,  
მასინ არ იყო შავარზაშვილი ძალა?!  
– ბოკერიაზე თქვა, რაც ოპოზი-  
ციას ალმოეწინდით, სააკაშვილს დეგ-  
რადაცია დაენყო.  
– ამას ამბობს და, სხვათა შო-  
რის, უკვე ოპოზიციას იყო გადასუ-  
ლი, როდესაც ნაციონალური მოძრაო-  
ბის ხმები წაიღო. ოპოზიციას იყო გადა-  
სული ნაციონალური მოძრაობის ხმე-  
ბით არ შევიდა პარლამენტში ბოკე-  
რია?!

თალითობას ვერ იტანს განსა-  
კუთრებით წერა, მასინ უკეთესად ჩანს.  
ისეთი ბედნიერი ვარ ხოლმე, როდესაც  
ინტერვიუს დავეხედავ და გულწრფე-  
ლად ვამბობ ყველაფერს. გულწრფე-  
ლობა ყოველთვის იარაღია შენთვის.  
როდესაც ეძახი ოპოზიციურ ძალას  
შავარზაშვილს, რომელსაც 400.000-ზე  
მეტე ამომრჩეველი მყავს, ეს რას ნიშ-  
ნავს? შენ იცლი იმისთვის, რომ გალან-  
ძლო ოპოზიციური ძალა და არა იმის-  
თვის, რომ მოიშორო ის, ვინც რუსეთ-  
თან არის შეკრული.

მე ვიპარტიზორე ნაციონალურ  
მოძრაობასთან გაერთიანებული ოპო-  
ზიციის ფორმატში იმიტომ, რომ გა-  
რანტია მქონდა, რუსეთთან არ იურ-  
გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ყურებით გამოვიყვანო სალომე ზურაბიშვილი და მის ფაქტობრივ ანგის პრაზიდიანტის რეზიდიენსიდან“



## სანდრო ბრეგაძე: „ივანიშვილმა საარჩევნო პროცესი ირაკლი კობახიძის გუნდს ჩააბარა და დაავალა, რომ 2020-ში 50%-ზე მეტი აიღოს“

ნონა ცაბაძე  
სალომე ზურაბიშვილის მიერ პარტიზორების  
შეწყალების შესახებ „ახალი თაობის“  
კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი  
სანდრო ბრეგაძე პასუხობს.  
– ბატონო სანდრო, პრეზიდენტის სკან-  
დალური შეწყალების საქმე ნელ-ნელა დავიწ-  
ყვებას ეძლევა. თავად პრეზიდენტმა არანაირი  
განმარტება არ გააკეთა აღნიშნულ საქმესთან

დაკავშირებით, თქვენ კი აცხადებთ, რომ  
ფლობთ ახალ ინფორმაციებს და ამ საქმეს ასე  
არ დატოვებთ. რა ინფორმაციებს ფლობთ და  
რას ამბობთ?  
– ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ბანანის  
ქვეყნაც კი არ ვართ, რადგანაც ასეთ სკან-  
დალს იქაც კი მოჰყვებოდა შესაბამისი რეაგირ-  
ება. ამას აუცილებლად მოჰყვებოდა პრეზი-  
დენტის პასუხისმგებლობის პასუხის დაყენე-  
ბა. ჩვენ რაღაც ბანანურ-მაფიოზურ ქვეყნად  
ჩამოყვალბდით, სადაც თანამდებობის პირე-  
ბი ჩადიან დანაშაულს, მოხდება მცირე ემოცი-  
ური ამოფრქვევა და შემდეგ დავიწყებთ მიე-  
ცემა ხოლმე ეს საკითხი.

– პროკურატურა ხომ იძიებს ამ საქმეს?  
– ამის სჯერა ვინმეს?! მთელი საქარ-  
თველო ლაბარაკობს, რომ ვინმე ანტი სუცი-  
ვილმა, სალომე ზურაბიშვილის უახლოესმა  
ადამიანმა და სალომე ზურაბიშვილმა, აიღეს  
დიდი ფული და ამ კორუფციული გარიგების  
შედეგად თავისუფლებაზე გამოუშვეს მკვლე-  
ლები, პედოფილები, ყაჩაღები, ნარკომოვაჭ-  
რები და ასე შემდეგ.  
– ამას მტკიცებულებები სჭირდება.  
– ვინ არის ისეთი მიაბიტი, რომ დაიჯე-  
როს, სალომე ლამაზი თვალების გულისთვის  
შეინყალა ეს დანაშაულები?! ყველამ კარგად  
გაგრძელება მე-3 გვერდზე

## თბილისის აეროპორტში ბარბუი 23 კმ მარისუნა ალმონიანს


თბილისის აეროპორტში  
23 კილოგრამი ნარკოტიკული  
საშუალება მარისუნა ალმონი-  
ანს.  
„ფინანსთა სამინისტროს  
შემოსავლების სამსახურის მე-  
ბაჟე ოფიცრებმა, შინაგან საქ-  
მეთა სამინისტროს თანამშრომ-  
ლებთან ერთად, განსაკუთრე-  
ბით დიდი ოდენობით ნარკო-  
ტიკული საშუალება „მარისუნა-  
ნის“ საქართველოში უკანონოდ  
შემოტანის ფაქტი აღკვეთეს.  
კერძოდ, 4 ოქტომბერს საბაჟო-  
გამშვებ პუნქტ „თბილისის აერ-  
ოპორტში“ სპეციალურად და-  
მუშავებული რისკის საფუძველ-  
ზე, ერთ-ერთი მოქალაქის დ.-  
ს კუთვნილი ბარბუი რენტგე-  
ნოსკანერით დეტალური დათ-  
ვალეიერების შედეგად განსაკუთ-



რებით დიდი ოდენობით, 23  
კილოგრამი „მარისუნა“ გამოვ-  
ლინდა. რისკის საფუძველზე აღ-  
ნიშნული ბარბუი ექვემდებარე-  
ბოდა საბაჟო კონტროლს, რის  
შედეგადაც სამართალდარღვე-  
ვის ფაქტი დადგინდა.  
საქმის მასალები, შემ-  
დგომი რეაგირების მიზნით, სა-  
ქართველოს შინაგან საქმეთა სა-  
მინისტროს ცენტრალური კრი-  
მინალური პოლიციის დეპარ-  
ტამენტს გადაეცა. გამოძიება  
განსაკუთრებით დიდი ოდენო-  
ბით ნარკოტიკული საშუალე-  
ბის უკანონო შექმნა-შენახვა-გა-  
დაზიდვისა და განსაკუთრებით  
დიდი ოდენობით ნარკოტიკუ-  
ლი საშუალების საქართველო-  
ში უკანონოდ შემოტანის ფაქ-  
ტებზე, საქართველოს სსკ-ს 273-

## კინოკაქისური მიხაილ კობახიძე გარდაიცვალა

80 წლის ასაკში ავადმყოფო-  
ბის შემდეგ კინორეჟისორი მიხეილ  
კობახიძე გარდაიცვალა.  
მიხეილ კობახიძე მსახიობ გე-  
გა კობახიძის მამა იყო, რომელიც ე.წ.  
„თვითმფრინავის ბიჭების“ საქმეზე,  
1984 წელს გამოტანილი განაჩენის  
საფუძველზე დახვრიტეს.  
მიხეილ კობახიძე 1939 წელს  
თბილისში დაიბადა. კინორეჟისო-  
რის ფაკულტეტი მოსკოვის საკავში-  
რო სახელმწიფო კინემატოგრაფიის  
ინსტიტუტში დაამთავრა.  
1964 წელს გადაღებულმა სადიპლომო  
ფილმმა „ქორნილი“ სამი პრიზი მიიღო ობერპა-



მების გადაღება ავტომატა.  
1996 წელს მან ცხოვრება და მოღვაწეობა  
საფრანგეთში გააგრძელა.  
რუსთავი 2

## ა.თ.-მ მოქალაქს 1.100 ლარი წაართვა და კაზინოში გაიქცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრუ-  
ლო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებ-  
მა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-  
სამებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედე-  
გად, ყაჩაღობის ბრალდებით 1971 წელს დაბადე-  
ბული, წარსულში წასამართლელი ა.თ. თბილისში  
დააკავეს.  
ჩადენილი დანაშაული 5-დან 7 წლამდე  
ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.  
გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდე-  
ბულმა თბილისში, 26 მაისის მოედანზე, 1968  
წელს დაბადებულ გ.თ.-ს იარაღის მსგავსი საგ-  
ნით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით, 1100 ლარი  
წაართვა და მიიმალა. დაზარალებულმა შემთხვე-

ვის ადგილზე უმოკლეს დროში მისულ საპატრუ-  
ლო პოლიციის ეკიპაჟს ა.თ.-ს გარეგნული ნიშნე-  
ბი აღუნწერა და მისი წასვლის მიმართულება  
მიუთითა.  
სამართალდამცველებმა ბრალდებულს რამ-  
დენიმე წუთში, ერთ-ერთი კაზინოს ვესტიბიულ-  
ში მიაკვლიეს. პოლიციამ ადგილზე ჩაატარა მისი  
პირადი ჩხრეკა და უკანონოდ მოპოვებული ფუ-  
ლი ნივთმტკიცებად ამოიღო. ასევე, ნივთმტკიცე-  
ბად ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარა-  
ღიც.  
გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე, საქართვე-  
ლოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდი-  
ნარეობს.

## საუნივერსიტეტო აპარია ნორში 3 ადამიანი დაიღუპა, 2 დაზავდა

გუშინ, 13 ოქტომბერს, ნორში ავტოსაგ-  
ზაო შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა,  
2 კი მძიმედ დაზავდა.  
ერთი დაზავებული ლაგოდეხის „არქიმე-  
დეს“ კლინიკაში მოთავსებული, მეორე კი –  
ნორის კლინიკაში. მათ შესაბამისი სამედიცინო  
კვლევები უტარდებოდა.  
მამაკაცს, რომელიც ნორის „არქიმედე-  
ს“ კლინიკაში მოთავსებული, თავისა და გულმკერ-

დის დაბეჭელობები, ასევე მეორე ნეკის მოტეხი-  
ლობა აღენიშნება. ექიმის თქმით, მისი მდგომარ-  
ეობა სტაბილურად მძიმეა და უტარდება ყველა  
შესაბამისი გამოკვლევა.  
რაც შეეხება მეორე დაზავებულს, რომე-  
ლიც ლაგოდეხის „არქიმედე-ს“ კლინიკაში გადა-  
იყვანეს, მისი მდგომარეობა სტაბილურია. ექიმე-  
ბის ცნობით, მას ნელს არეში დაბეჭელობები  
აქვს.

**ახალი თაობა**  
გამომცემი  
1993 წლის  
23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოლო გოგინაშვილი  
**რედაქტორი** – ლალი ალანაშვილი

საფინანსო სამსახური – ვლარა ბალაიძე  
სარედაქციო სამსახური – 294-02-55

**დირექტორი** – ზურაბ შერბიძე  
**გაგრძელების სამსახური** – მერაბ ლევინაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.  
**ტელეფონი/ფაქსი:** 294-06-91  
**ვებგვერდი:** www.akhaitaoba.ge **ელ.ფოსტა:** axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარედაქციო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.













აშშ დოლარი — 2.9701

ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 3.7328


ევრო — 3.2778

100 რუსული რუბლი — 4.6307

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: <http://www.opentext.ge/akhalitoba>



**16 ოქტომბრიდან**  
გიორგი კოკოშაშვილი  
**ქართული საბრძოლო ხელოვნება**  
ფასი გაზაფხულზე  
ერთად 18 ლარი



**5 ნოემბრიდან**  
საქართველოს ისტორია  
პატარებისთვის  
**ბაზალტიისა ტბის ძირას ქიკნა III**  
ფასი გაზაფხულზე  
ერთად 12 ლარი

**მეცნიერების ზვიგენმა სამახსოვროდ კბილები დაუტოვა**

ამერიკის კალიფორნიის შტატის სანაპიროსთან წყალქვეშა ცურვის მოყვარულს თავს დიდი თეთრი ზვიგენი დაესხა.



სან-დიეგოს მცხოვრებმა დენი მაკ-დენიელმა კაიაკით კუნძულ სანტა-კატალინას მახლობლად ცურვის დროს ძლიერი ბიჭვი იგრძნო. მან ნავის კუდიკენ გაიხედა და უზარმაზარი ზვიგენის თავი შენიშნა. მტაცებელი ნავის გვერდს ყებოთ ჩააფრინდა და ისეთი ძალით მოქანა, რომ კაიაკი 180 გრადუსით შეტრიალდა. ამის შემდეგ მან ნავს თავი ანება და გაშორდა. კაიაკს გვერდში ზვიგენის ორი დაახლოებით ხუთი სანტიმეტრი სიგრძის კბილი ჩარჩა. მათი ზომის მიხედვით თუ ვიშაფულებთ, დიდი თეთრი ზვიგენის სიგრძე 5,8 მეტრი იქნებოდა. მაკდენიელი ამტკიცებს, რომ ის პირველად გადაეყარა ასეთი ზომის მტაცებელ თევზს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელია, აკვალანგით ყვინთვით არის დაკავებული და არაერთხელ გადააყრია ზვიგენებს.

**გერმანულად მოლაპარაკე ყვავი ზოოპარკის ვარსკვლავი გახდა**



გერმანიის ლიუბეხის კომუნაში მდებარე ზოოპარკში პარკ „აიფელში“ აღმოაჩინეს ყვავი, რომელსაც ადამიანის ლაპარაკის მიბაძვა შეუძლია.

უცნაური ფრინველის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა. ფოტოგრაფი ლოთარ ლენცი ზოოპარკში სეირნობის დროს თითქმის მოშინაურებულ ყვავს გადააწყდა, რომელიც გერმანულად ამბობდა „ჩემო მეგობარო“. კადრებში ჩანს, მინაზა მჯდომი შავი ფრინველი როგორ გარკვევით იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს.

შოაშადა კახა ხატიაშვილი

**ასტრონომიონი 14 ოქტომბრისათვის**



**პირი** — დღეს გარისკავს ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვება. ვითარება თქვენგან სიმამაცესა და შეუპოვრობას მოითხოვს. ამის მიუხედავად, რეზულტატი არასახარბილო აღმოჩნდება. **კარო** — დღის პირველი ნახევარი ფინანსური კუთხით წარუმატებელია. ეცადეთ, ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავოთ. ერთდღე გარისკავს. **მეზობელი** — ახალი ურთიერთობებისათვის არახელსაყრელი პერიოდია. მაცდუნებელ წინადადებას არ დათანხმდეთ. **ქირაში** — ტყუილუბრალოდ ნერვებს ნუ აიშლით. ნუ იატყირებთ და ნუ იჯიუტებთ. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. **ღირსი** — გადამწყვეტილების მიღებისას სიმტკიცე გმართებთ, თუმცა სასურველ შედეგს ნუ დაელოდებით. მცდარი ინფორმაცია უსიამოვნების მიზეზი გახდება. **ქალწული** — პლანეტების მფარველობას გრძნობთ. ახალი კავშირების დასაბყარებლად კეთილისმყოფელი დღეა. **სასწრაფი** — წინააღმდეგობრივი დღეა. დღის პირველ ნახევარში დიდია მოტყუებისა და ცდუნების ალბათობა. საღამოს შედარებით სიმშვიდეს მოიპოვებთ. **ღინძა** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდება. მთავარია, დანებებული საქმე დაამთავროთ და სამომავლოდ არ გადაადოთ. ნათესავებთან ურთიერთობა უკეთესობისკენ იცვლება. **მშვიდღისანი** — თავს ნურავის მოატყუებინებთ. ფიზიკურად იყავით და თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. ერთდღე ავანტიურისტებს. **თხის რა** — დღის პირველ ნახევარში თქვენი ფინანსური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდება. ამის მიუხედავად, საღამოს დეპრესია მოგეცალებათ. **მარცხი** — დღეს გაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში, საგარეუოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კუთხით. **თავისუფალი** — სასიცოცხლო ძალა გემატებათ. ბევრი თქვენგანი წარმატებას მიაღწევს როგორც კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

**იუმოხი**

ნაცნობი გივის ეკითხება:  
— ბიჭო, როგორ არის ლალი, როგორი დიდი სიყვარული გქონდათ.  
— დამთავრდა ჩვენი სიყვარული.  
— დაშორდით?  
— არა, დაქორწინდით.  
ფსიქოლოგს ეკითხებიან:  
— თავად თუ გჯერათ იმ ბოღვის, რომლითაც პაციენტებს არწმუნებთ?  
— მე ფსიქოლოგი ვარ, გიჟი კი არა...  
ორნი საუბრობენ, ერთი მეორეს ეუბნება:  
— როგორ მოგვიმარაგდა ქვეყანაში უმუშევრები.  
— ნუ იტყვი, ჩვენთან კანონებიც კი არ მუშაობენ.  
სტუმარი მასპინძელს ეკითხება:  
— ვინ ყვირის ასე განწირული ხმით?  
— ჩვენი მეზობელი ლამარა.  
— რა, მშობიარობს?  
— არა, ფეხშიმდება.  
უნივერსიტეტის ორი ლექტორი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:  
— გამოცდაზე თუნდაც ერთი კარგი ნიშანი რომ დავწერო, მთელი ჯგუფი ხელისგულზე დაიხვამს.  
ამ დროს დეკანმა ჩაიარა, საუბარს ყური მოჰკრა და ეუბნება:  
— მე რომ ორივე გაგათავისუფლოთ სამსახურიდან, მთელი ფაკულტეტი ხელისგულზე მატარებს.

ქალი მამაკაცს ეკითხება:  
— თქვენ ვინ ხართ?  
— მამაკაცი თქვენი ფანტაზიებიდან!  
— და მართო რატომ ხართ?  
შოაშადა კახა ხატიაშვილი

**„საქართველოს ვარსკვლავის“ ჟიური სწოვლია**

26 ოქტომბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მუსიკალური პროექტი „საქართველოს ვარსკვლავი“ იწყება. მეორე სეზონის ჟიურის წევრები უკვე ცნობილია. კონკურსანტებს შეაფასებს ოთხკაციანი ჟიური თიკო ბერძენიშვილის, ნათია თოდუას, დავით ეგვინიძისა და დავით ალადაშვილის შემადგენლობით.



„საქართველოს ვარსკვლავის“ პირველი სეზონი ოთხ ნემსაქმე მოიგო და საქართველო „ევროვიზია 2019“-ზე წარადგინა, პროექტის მეორე სეზონის გამარჯვებული კი ჩვენს ქვეყანას „ევროვიზია 2020“-ზე წარადგენს.

**ბიძინა მახარაძის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართება**



იუმორისტ ბიძინა მახარაძის დასახმარებლად საქველმოქმედო საღამო გაიმართება. რუსთაველი გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრში 21 ოქტომბერს მისი მეგობრები იუმორისტული საღამოს ჩატარებენ. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ხელოვნები.

**საანათის ფოტო მაიკროსოფტ ვინდოუსის ეკრანზე გამოჩნდება**

სულ მალე სვანეთის ფოტო მაიკროსოფტ ვინდოუსის ეკრანზე გამოჩნდება. საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხის ფოტოს ნახვა მილიონობით მომხმარებელს შეეძლება. სვანეთის მაიკროსოფტ ვინდოუსის საწყის ეკრანზე გამოჩენასთან დაკავშირებით ინფორმაცია ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გაავრცელა:  
— დალაშქრეთ შავი ზღვისპირეთიდან კასპიის ზღვამდე მდებარე მთები, იმოგზაურეთ დედაძინის ამ წერტილში და საქართველო შეიძლება თქვენს გულში აღმოჩნდეს, — ეს არის მთავარი გზავნილი საქართველოდან, კერძოდ კი სვანეთიდან მთელი მსოფლიოსთვის.




**მშრალი ხიდი საფლავის ქვებით მოპირკეთებული აღმოჩნდა**



მშრალი ხიდის ქვაფენილი საფლავის ქვებით მოპირკეთებული აღმოჩნდა. ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მშრალი ხიდის ქვაფენილის რეაბილიტაცია დაიწყო. ინფორმაცია და ვიდეო ინტერნეტში დავით ჩაჩანიძემ გაავრცელა:  
— მშრალი ხიდის ქვაფენილი რეაბილიტაციისათვის აყარეს და საფლავის ქვები ყოფილა...  
მინიმუმ შესასწავლია, მშენებელს ვუთხარი, რომ არ გადაყარო და, ვისაც ეკუთვნის, რომ მიხედოს... ხმა მიაწვდინეთ...


**იტალიის ისტორიულ თეატრში გორა აბულაქის დებიუტი შედგება**



ქართველი ბარიტონის გორა აბულაქის დებიუტი იტალიის ისტორიულ თეატრში შედგება. კიეტის ისტორიულ თეატრში ქართველი ოპერის მომღერალი ლეონკავალოს „ჯამბაზებში“ ტონიოს პარტიას იღებებს. გორასთვის ამ თეატრში „ჯამბაზები“ სადებიუტო სპექტაკლია. რაც შეეხება ტონიოს როლს, იგი ქართველ მომღერალს ლეგენდარულ ფრანკო ძევირელისთანაც აქვს ნამღერია. კიეტის თეატრში წარმოდგენილი „ჯამბაზების“ დამდგმელი რეჟისორი მსოფლიოში ცნობილი ალდო ტარაბულაა.

შოაშადა კახა ირემაშვილი

**გოგონამ თოჯინა ბარბის გარეგნობას მთელი ქონება დაახარჯა**



შვედეთის მკვიდრმა 19 წლის სტეფანი მიუ-ლიკმა აღიარა, რომ წელიწადში დაახლოებით 168 ათას შვედურ კრონს ხარჯავს პლასტიკურ ოპერაციებზე იმისთვის, რომ თოჯინა ბარბის დამსგავსდეს. მიულიკმა, რომლის დედა კოსმეტოლოგად მუშაობს, ტუჩების გადიდება პირველად 13 წლის ასაკში ცადა და მას შემდეგ რეგულარულად სარგებლობს კოსმეტოლოგებისა და პლასტიკური ქირურგების მომსახურებით. გოგონას ყოველთვის რცხვენოდა საკუთარი ცხვირის გამო, ვინაიდან ერთხელ მეგობარმა ბიჭმა უთხრა, რომ მისი ცხვირი ლამაზ გარეგნობას უმახინჯებდა. მას შემდეგ მიულიკმა შეიცვალა არა მხოლოდ ცხვირის ფორმა, არამედ ტუჩები, ნიკაპი, ლოყები, წარბები და კბილები. გოგონა ყოველთფე ინექციას იკეთებს ტუჩებში და ამაში ქიმეისა და ლიპოსაქციის პროცედურებს.

**ჯიხვოხი**

**თარაზულად:** 3. ღია მათემატიკური მრუდი; 8. მოდელი; 9. ზემაღალი სისხირის ელექტრონიკა; 11. ერთრიის დედაქალაქი; 12. დახურული, სარკმლებიანი ოთხთავა ეტლი; 14. წყლის ნიშნა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ძალიან იშვიათი ნივთი; 20. ერთგვარი დასახლება; 22. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გასვლა დროსტარების მიზეზით; 23. გალაკტიონის ლექსი; 24. დროებითი გადამწყვეტილება ან შეთანხმება; 25. იაპონური ჭიდაობა; 26. ქიმიური ელემენტი; 27. იტალიური ფიჭვი.

**შეუვლად:** 1. ბანქო; 2. ხის ჩასაბერი საკრავი; 4. მხატვრულად გაფორმებული პატარა წიგნაკი; 5. ამინდი; 6. აქლემების მწკრივი; 7. ადამიანი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს იცვლის; 10. იგივეა, რაც მრწამსი; 12. ამაღლებული ადგილი ეკლესიაში მგალობელთათვის; 13. რისამე მწვევ ნაკლებობა; 16. ლაქების, მეტლეების, შვიცრების ფორმის ტანსაცმელი; 17. განცხადება: „ყველა ბილეთი გაყიდულია“; 18. გარეული ხარი; 19. ეთიოპიის იმპერატორთა ტიტული (XIX-XX სს. მიჯნა); 21. ხილის გამაგრილებელი სასმელი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

